

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯის ეთიკის კოდექსი

პრეამბულა

სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯი (შემდგომში კოლეჯი) ავტონომიური პროფესიული სასწავლებელია, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის, “პროფესიული განათლების შესახებ” საქართველოს კანონის, კოლეჯის წესდებისა და სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად ახორციელებს პროფესიული განათლების პროგრამებს. ეთიკის კოდექსი აღწერს კოლეჯის ეთიკურ პრინციპებსა და სტანდარტებს, რომლის სრულფასოვანი დაცვა და შესრულება პროფესიული სასწავლო დაწესებულების წარმატების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

კოლეჯმა უნდა დაიმკვიდროს კონკურენტუნარიანი, მაღალ ღირებულებებსა და ფასეულობებზე ორიენტირებული სასწავლებლის სახელი.

წინამდებარე დოკუმენტი ითვალისწინებს სახელმძღვანელო პრინციპებს შესაძლო ეთიკური პრობლემების მოგვარებისათვის. იგი განკუთვნილია როგორც თანამშრომლების, ისე სტუდენტებისათვის და არეგულირებს კოლეჯის ნებისმიერი სახის საქმიანობას. კოლეჯი ხელმძღვანელობს ეთიკური სტანდარტებითა და პრინციპებით მისი საქმიანობის ნებისმიერ სფეროში.

კოლეჯის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლები და სტუდენტები ვალდებული არიან იმოქმედონ ეთიკური პრინციპების შესაბამისად, წინააღმდეგ შემთხვევაში ადეკვატური ზომები იქნება გატარებული ნებისმიერი არაეთიკური ქმედების წინააღმდეგ.

II. ეთიკის კოდექსის დანიშნულება და გამოყენება

ეთიკის კოდექსი აღწერს პროფესიული სასწავლებლის ეთიკურ პრინციპებსა და სტანდარტებს, ადგენს ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის, ასევე სტუდენტების ქცევის სტანდარტებს კოლეჯის ღირებულებების, კანონმდებლობისა და მარეგულირებელი წესების შესაბამისად. სთავაზობს სახელმძღვანელო პრინციპებს შესაძლო ეთიკური დილემის მოგვარების მიზნით.

ეთიკის კოდექსი გამოყენებულ უნდა იქნეს კოლეჯის მიერ მიღებულ სხვა დოკუმენტებთან ერთად. მისი განახლება მოხდება რეგულარულად. ეთიკის კოდექსი არ შეიცავს ყველა შესაძლო ეთიკურ პრობლემას. მისი მიზანია ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალს

და სტუდენტებს მიაწოდოს ის სახელმძღვანელო პრინციპები, რომელთა საშუალებითაც ისინი შეძლებენ იმოქმედონ ეთიკური სტანდარტების შესაბამისად.

III. ეთიკის პრინციპები და სტანდარტები

1) აკადემიური პერსონალი

სასწავლო კოლეჯის აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალი და სხვა თანამშრომლები თავისი საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობენ ეთიკური ნორმებით. მათი საქმიანობა უნდა იყოს პატიოსანი და კეთილსინდისიერი,

სისტემატურად უნდა იმაღლებდნენ კვალიფიკაციას და პროფესიონალიზმს; უნდა დაიცვან პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალობა. თავი უნდა შეიკავონ კოლეჯის მიმართ შეურაცხმყოფელი გამონათქვამებისაგან.

- პროფესიული განათლების მასწავლებლები ვალდებული არიან პატივისცემით მოეპყრონ პროფესიულ სტუდენტებს და გაუწიონ მათ აკადემიური და ინტელექტუალური ხელმძღვანელობა. დაიცვან სტუდენტების აკადემიური თავისუფლება და ხელი შეუწყონ მათ პროფესიულ ზრდას;

- აკადემიური პერსონალის საქმიანობა და სტუდენტებთან ურთიერთობა დამყარებული უნდა იყოს მაღალაკადემიურ და ეთიკურ სტანდარტებზე;

თითოეული მეცადინეობათვის ისინი უნდა მოემზადონ მაღალ დონეზე და შეეცადონ გაზარდონ სტუდენტების მოტივაცია მაქსიმალურად გამოიყენონ საკუთარი შესაძლებლობები და პოტენციალი;

- აკადემიურმა პერსონალმა უნდა შექმნას ყველა საჭირო პირობა პატიოსანი და აკადემიური გარემოს არსებობისათვის. მის მიერ შემუშავებულ უნდა იქნას სწავლების ისეთი მეთოდები, საშინაო დავალებისა და შეფასების სისტემა, რომლებიც წახალისებს სტუდენტების აკადემიურ პატიოსნებას;

- აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებმა საფუძვლიანად უნდა შეიმუშაონ სალექციო კურსების თემატიკა და სტრუქტურა. პერიოდულად მოახდინონ მათი განახლება შესაბამის სფეროში მიმდინარე ცვლილებების შესაბამისად;

- აკადემიური პერსონალი ვალდებულია სასწავლო პროცესი წარმართოს დამტკიცებული სასწავლო გეგმის შესაბამისად;

- სტუდენტების შეფასების პროცესში აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებმა უნდა იმოქმედონ სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპების შესაბამისად.

მათ მიერ მიცემული შეფასება დაფუძნებული უნდა იყოს მხოლოდ აკადემიურ მოსწრებაზე და არა პიროვნულ მახასიათებლებზე, როგორცაა: სქესი, რელიგია,

რასობრივი კუთვნილება, პიროვნული ღირებებულებები, პოლიტიკური კუთვნილება და სხვა;

- აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებმა სტუდენტებს უნდა მიაწოდონ სრული ინფორმაცია შეფასების სისტემის შესახებ. მათი მხრიდან არ უნდა იქნას ჩადენილი ისეთი ქმედება, რაც რომელიმე სტუდენტს ჩააყენებს სხვებთან შედარებით ხელსაყრელ ან პრივილეგიურებულ მდგომარეობაში. სტუდენტების შეფასება უნდა მოხდეს მხოლოდ მათი მიღწევებისა და შესაძლებლობების საფუძველზე;

- აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებმა თავი უნდა შეიკავონ კოლეჯის ფარგლებს გარეთ ისეთ საქმიანობაში ჩართვისა თუ ვალდებულებების აღებისაგან, რაც ხელს შეუშლის მათი მოვალეობის სრულფასოვნად განხორციელებას;

- აკადემიურმა პერსონალმა დანიშნულებისამებრ და ეფექტიანად უნდა გამოიყენოს კოლეჯის შენობა, ტექნიკა, აღჭურვილობა და სხვა რესურსები მათი საქმიანობის სრულად განსახორციელებლად;

- აკადემიური პერსონალის წარმომადგენელს არ აქვს უფლება მიიღოს და განიხილოს მისი რომელიმე კოლეჯის კრიტიკა სტუდენტების მხრიდან. ასეთ შემთხვევაში მან უნდა მოუწოდოს სტუდენტებს მიმართონ უშუალოდ კრიტიკის ობიექტს ან კოლეჯის დირექტორს;

- აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები პატივისცემით და სამართლიანად უნდა მოეპყრონ ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლებს .

2) ადმინისტრაციული პერსონალი

- ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობა უნდა ეფუძნებოდეს ეთიკის მაღალ სტანდარტებს, კეთილსინდისიერებას და პატიოსნებას. ხელს უწყობდეს საზოგადოებაში კოლეჯის სახელისა და ავტორიტეტის განმტკიცებას;

- ადმინისტრაციული პერსონალის მოვალეობაა კოლეჯში შექმნას პროფესიული განვითარებისათვის აუცილებელი მორალური, ფინანსურ-ეკონომიკური და საყოფაცხოვრებო გარემო;

- ადმინისტრაციული პერსონალი პატივს უნდა სცემდეს კოლეჯს და მის ტრადიციებს, თანამშრომლებს და სტუდენტებს მოეპყროს სამართლიანად და პატივისცემით;

- ადმინისტრაციის პერსონალი უნდა ემორჩილებოდეს კოლეჯის მიერ

დადგენილ წესებს, პროცედურებსა და არსებულ კანონმდებლობას;

- ადმინისტრაციის პერსონალის წარმომადგენელს არ აქვს უფლება მიიღოს საჩუქარი, ან თანხა კოლეჯის თანამშრომლებისაგან, სტუდენტებისაგან ან სხვა დაინტერესებული პირისაგან;
- ადმინისტრაციული პერსონალი უნდა დაემორჩილოს კოლეჯის მიერ დადგენილ მარეგულირებელ წესებს, პროცედურებს და შესაბამის კანონმდებლობას;
- ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალს შორის არსებული სამსახურეობრივი ურთიერთობები უნდა იყოს პროფესიონალური და ეთიკური. მიუღებელია ანონიმური წერილები, დაუსაბუთებელი (ან თუნდაც დასაბუთებული) განცხადებები და კომენტარები კოლეჯის სამსახურეობრივი საქმიანობის და პირადი ცხოვრების შესახებ.

3) პროფესიული სტუდენტები

3.1 ყველა პროფესიული სტუდენტი თანაბრად სარგებლობს საქართველოს კანონმდებლობითა და კოლეჯის წესდებით მისთვის მინიჭებული უფლებით.

ა) სტუდენტი იზიარებს კოლეჯის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ ღირებულებებს და იცავს ამ კოდექსით დადგენილ წესრიგს;

ბ) სტუდენტი აღიარებს კოლეჯის უფლებას, ეთიკის კოდექსის დარღვევის შემთხვევაში, განიხილოს მისი დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი და ამასთან იღებს ვალდებულებას შეასრულოს ამ საკითხთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება.

3.2. სტუდენტისათვის შეუფერებელ და არაეთიკურ ქცევად ჩაითვლება:

ა) სასწავლო პროცესის მიმდინარეობისათვის ხელის შეშლა (მეცადინეობაზე/ ლექციაზე ხმაური, მობილური ტელეფონით სარგებლობა, დერეფანში აურზაური და სხვა);

ბ) თამბაქოს მოწევა კოლეჯის ტერიტორიაზე და ეზოში;

გ) ალკოჰოლური სასმელების შემოტანა, გავრცელება და/ან გამოყენება, აზარტული თამაშები;

დ) ინვენტარით სარგებლობის წესის დარღვევა (მერხებზე წარწერების გაკეთება, კომპიუტერების, ლაბორატორიული მოწყობილობების, სასწავლო ავეჯისა და ინვენტარის დაზიანება);

ე) კოლეჯის ტერიტორიის დანაგვიანება, შენობის იერსახის დამახინჯება,

ნარგავების დაზიანება;

ვ) დისციპლინური ღონისძიებების გატარების საკითხის აღძვრისათვის უფლებამოსილი პირის მოთხოვნებისადმი დაუმორჩილებლობა;

ზ) ბილწისიტყვაობა;

თ) ნარკოტიკული და/ან ფსიქოტროპული საშუალებების შემოტანა, გავრცელება და/ან გამოყენება;

ი) ისეთი ფეთქებადი და აალებადი ნივთებისა და ნივთიერებების შემოტანა და/ან გავრცელება, რომლებიც ხანძრის და/ან აფეთქების რეალურ საფრთხეს ქმნიან;

კ) ძალადობა, ფიზიკური და/ან სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება სხვა სტუდენტების, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წარმომადგენლებისათვის;

ლ) სტუდენტისათვის შეუფერებელ და არაეთიკურ ქცევად ჩაითვლება აკადემიური სიყალბე (გადაწერა სხვა სტუდენტის ნამუშევრიდან, სხვა პირის ნამუშევრის საკუთრად წარმოჩენა, კვლევითი სამუშაოების ინფორმაციის გაყალბება, პლაგიატი და სხვა);

მ) სხვა სტუდენტის ნაცვლად გამოცდის ჩაბარება ან სხვა პირის შეგზავნა გამოცდის ჩასაბარებლად. სხვა სტუდენტის ნამუშევრის მოპარვა, განადგურება, შეცვლა, შეფასების მიღების მცდელობა გამომცდელზე ზეწოლით;

3.3. ეთიკის საერთო და აკადემიურ პროცესთან დაკავშირებული წესების დარღვევის ფაქტებზე სტუდენტის მიმართ დისციპლინური ღონისძიებების გატარების საკითხის აღძვრა შეუძლია კოლეჯის აკადემიურ და პედაგოგიურ საქმიანობაში ჩართულ ნებისმიერ პირს, ასევე, ადმინისტრაციის ნებისმიერ თანამშრომელს.

3.4. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების შესაძლებელი სანქციები:

ა) სტუდენტს შეიძლება მიეცეს ზეპირი გაფრთხილება;

ბ) სტუდენტმა შეიძლება მიიღოს წერილობითი გაფრთხილება პირად საქმეში შეტანით;

გ) სტუდენტს შეიძლება შეუჩერდეს კოლეჯში ლექციებზე დასწრების უფლება;

დ) შეიძლება შეუწყდეს სტუდენტის სტატუსი;

ე) 3.2. პუნქტის “თ”, “ი” და “კ” ქვეპუნქტების დარღვევის შემთხვევაში, ასევე საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით სხვა დასჯადი ქმედების ჩადენისას,

კოლეჯი დაუყონებლივ მიმართავს პოლიციას;

ვ) 3.2. პუნქტის “ა”, “ბ”, “გ”, “დ”, “ე”, “ვ” და “ზ” ქვეპუნქტის დარღვევის შემთხვევაში სტუდენტს მიეცემა წერილობითი გაფრთხილება პირად საქმეში შეტანით. სამჯერ გამეორების შემთხვევაში სტუდენტს სტატუსი უწყდება.